თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2022 წლის 14 იანვარი
მორიგი სხდომის
ოქმი № 1

ქ. თერჯოლა

14 იანვარი 2022 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

**სხდომას უძღვებოდა:** საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

**სხდომას ესწრებოდნენ:** 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ამირან ვერულაშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. თემური ქოჩიაშვილი, 5. ლაშა გურგენიძე, 6. იზა მაგრაქველიძე, 7. ბიძინა ბუცხრიკიძე, 8. კობა კაკაძე, 9. ნინო მახათაძე, 10. ომარი ჯიხვაშვილი, 11. ბადრი ბუცხრიკიძე, 12. ჯემალი ისაკაძე, 13. ელისო მურადაშვილი, 14. მანუჩარ ფანჩულიძე, 15. შალვა ჭანკვეტაძე, 16. გრიგოლ გიორგაძე, 17. გოჩა ვერულაშვილი, 18. დავით გოგბერაშვილი, 19. კახა ბუცხრიკიძე, 20. რამინი რობაქიძე, 21. თამარ ახვლედიანი, 22. ამბერკი დოლაკიძე, 23. დავით ცხადაძე, 24. ნატალია ასათიანი, 25. კობა კირკიტაძე, 26. მერაბ ბასილაძე, 27. რუსუდან კოპზირიძე, 28. როლანდი მესხი.

**სხდომას არ ესწრებოდნენ:** 1. ლევან კვატაია, 2. ივანე ჩუბინიძე

**სხდომას ესწრებოდნენ:** მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე მანუჩარ რობაქიძე, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ავთანდილ ურიადმყოფელი, მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი დიანა ფოცხვერაშვილი.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 28 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომა დაიწყო 12 $^{00}$ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 14$^{20}$ სთ-ზე.

*საკრებულოს სხდომა უცვლელადმისაღებია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.*

დღის წესრიგი:

1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის № 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ( თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282201242, 12.01.2022 წ.);

მომხს.: თ.ქოჩიაშვილი
თანამომხს.: ა.ურიადმყოფელი

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282201161, 11.01.2022 წ.);

მომხს.: შ. ჯანკვეტაძე

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282201161, 11.01.2022 წ.) ;

მომხს.: შ. ჯანკვეტაძე

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირერბულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282201161, 11.01.2022 წ.);

მომხს.: შ. ჯანკვეტაძე

5. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე ჯანმრთელობისა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებზე მედიკამენტებით დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282201161, 11.01.2022 წ.) ;

მომხს.: შ. ჯანკვეტაძე

6. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ უკიდურესად გაჭირვებულ და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282201161, 11.01.2022 წ.) ;

მომხს.: შ. ჯანკვეტაძე

7. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282201161, 11.01.2022 წ.) ;

მომხს.: შ. ჯანკვეტაძე

8. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282201161, 11.01.2022 წ.);

მომხს.: შ. ჯანკვეტაძე

9. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკისონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282201161, 11.01.2022 წ.);

მომხს.: შ. ჯანკვეტაძე

10. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282201161, 11.01.2022 წ.) ;

მომხს.: შ. ჯანკვეტაძე

11. უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282201161, 11.01.2022 წ.);

მომხს.: შ. ჭანკვეტაძე

12. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2022 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282201161, 11.01.2022 წ.);

მომხს.: შ. ჭანკვეტაძე

13. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282201161, 11.01.2022 წ.);

მომხს.: შ. ჭანკვეტაძე

14. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების დაფინანსების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282201161, 11.01.2022 წ.);

მომხს.: შ. ჭანკვეტაძე

15. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282201161, 11.01.2022 წ.) ;

მომხს.: შ. ჭანკვეტაძე

16. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

17. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირები) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 30 იანვრის № 7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

18. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე (ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. №109-ში მდებარე მერიის შენობის (ს.კ. 33.09.45.949) მარცხენა ფიგელის 1 და 2 ოთახის (საერთო ფართი 40.96 მ$^2$ ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად , უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, სამი წლის ვადით გადაეცეს სსიპ დანაშაულებრივი პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და ეროვნულ სააგენტოს) (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282201244, 12.01.2022 წ.);

მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

19. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე (ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. №109-ში (ს.კ. 33.09.45.949) მდებარე არასაცხოვრებელი ფართი -32.99 მ² სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით ორი წლის ვადით გადაცემა) ( თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282201243, 12.01.2022 წ.);

მომხს.: ზ.ზუცხრიკიძე

20. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282201245, 12.01.2022 წ.).

მომხს.: ზ. ზუცხრიკიძე

**კენჭისყრის შედეგები**: მომხრე - 28 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

**მოისმინეს**: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის № 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი - 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ, შემოსავლების გეგმის გაზრდამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ (აისახა ნაშთი ბიუჯეტში).

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა - 5710.0 ათასი ლარით (გრანტი 3187.0 ათასი ლარი, ნაშთი -1679.3 ათასი ლარი, დღგ 63.0 ათასი ლარით, სხვა შემოსავლები და არაფინანსური აქტივები 780.7 ათასი ლარით) და შეადგენს 19210.0 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 5710.0 ათასი ლარით. 2022 წლის პირველი იანვრისათვის დარჩენილი ნაშთი 1679.3 ათასი ლარი აისახა ბიუჯეტში (აქედან: გასანაწილებელი ნაშთია 1167.5 ათასი ლარი და მიმდინარე ვალდებულებებია 511.8 ათასი ლარი). სხვა შემოსავლების გეგმა გაიზარდა 380.7 ათასი ლარით (პროცენტი 60.0 ათასი ლარი, რენტა 237.0 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი 3,7 ათასი ლარი, დასუფთავების მოსაკრებელი 40.0 ათასი ლარი, შემოსავალი მომსახურების გაწევიდან 10.0 ათასი ლარი და ჯარიმები, სანქციები და საურავები 30.0 ათასი ლარი). არაფინანსური აქტივების გეგმა გაიზარდა 400.0 ათასი ლარით.

საქართველოს მთავრობის განკარგულებებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 2548.0 ათასი ლარი (მესამე საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის გამოყოფილია 2348.0 ათასი ლარი და 200.0 ათასი ლარი გამოყოფილია ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის). სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებაზე გამოიყო 639.0 ათასი ლარი.

**აზრი გამოთქვეს:** კახა ბუცხრიკიძემ, როლანდი მესხმა მათ გოგნის კარუგდებლის მიმდინარე სამუშაოებისათვის გამოყოფილ თანხებზე ისაუბრეს და იმედი გამოთქვეს, რომ ამ თანხით არ მოხდება ფონდის დავალიანების დაფარვა და ფონდის ხელმძღვანელობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად განიხილავს თანხის მიზნობრივ ხარჯვას.

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე-18, წინააღმდეგი -10**

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის № 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება №1, 14.01.2022 წ.).

2

**მოისმინეს:** მოხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 180 000 ლარი, პროგრამის მიზანია დაეხმაროს და ხელი შეუწყოს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მძიმე სოციალურ პირობებში მყოფ ოჯახებს.

**აზრი გამოთქვეს:** როლანდი მესხმა, გოჩა ვერულაშვილმა, ნინო მახათაძემ, კახა ბუცხრიკიძემ.

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე-28, წინააღმდეგი -0**

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.292201414, 14.01.2022 წ.).

3.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტი 200 000 ლარი, პროგრამით არ დაფინანსდება ესთეტიკური მიზნით ოპერაციები და საკეისრო კვეთა, მეორედ მომართვიანობის შემთხვევაში პროგრამით მოსარგებლე პირმა უნდა წარმოადგინოს ფიზიკური პირის შემოსავლების შესახებ ცნობა შემოსავლების სამსახურიდან (ბოლო ერთი წლის განმავლობაში).

**აზრი გამოთქვეს:** თემურ ქოჩიაშვილმა - მეორედ მომართვიანობის შემთხვევაში მოსარგებლე პირის მიერ წარსადგენ დოკუმენტაციაში ჩავამატოთ „ან ცნობა სამსახურიდან" .

ნინო მახათაძე - არის შემთხვევა როდესაც საკეისრო კვეთა სამედიცინო ჩვენებით აუცილებელია და კარგი იქნება თუ ასეთ შემთხვევებს დავაფინანსებთ..

როლანდი მესხი - პროგრამით მოსარგებლე პირს, რომლის ასანაზღაურებელი თანხა არის 5000 ლარს ზემოთ მათი დაფინანსება გაიზარდოს.

წინადადებებს დეპუტატებმა ამ ეტაპზე მხარი არ დაუჭირეს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-28, წინააღმდეგი -0.

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი ( განკარგულება № გ-29.292201416, 14.01.2022 წ).

4

**მოისმინეს:** მოხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირერბულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი პროგრამის ბიუჯეტი - 40 000 ლარი. პროგრამის მიზანია თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების მატერიალური დახმარების გაწევა.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-28, წინააღმდეგი -0.

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირერბულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.292201415, 14.01.2022 წ).

5.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე ჯანმრთელობისა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებზე მედიკამენტებით დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტი - 40 000 ლარი.

**აზრი გამოთქვეს:** რუსუდან კოჭზირიძე - შეთავაზებული მედიკამენტები უნდა შეესაბამებოდეს პაციენტის საჭიროებას, რაც ხშირ შემთხვევებში გასულ წლებში არ ხდებოდა.
ბადრი ბუცხრიკიძე- მედიკამენტების ჩამონათვალს განსაზღვრავს შესყიდვების სააგენტო.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-28, წინააღმდეგი -0.

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე ჯანმრთელობისა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებზე მედიკამენტებით დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.292201414, 14.01.2022 წ.).

6.

**მოისმინეს:** მოხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ უკიდურესად გაჭირვებულ და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების სავებე პროდუქტებით დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტი - 50 000 ლარი, პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში

რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე-28, წინააღმდეგი -0.**

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ უკიდურესად გაჭირვებულ და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.292201413, 14.01.2022 წ).

7.

**მოისმინეს:** მოხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტი 37 000 ლარი, პროგრამის მიზანია პირველი ჯგუფის უსინათლოთათვის კომუნალური გადასახადების გადახდაში ხელშეწყობა. 2021 წელს დახმარების თანხა იყო 40 ლარი, წელს გაიზარდა 10 ლარით.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე-28, წინააღმდეგი -0.**

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.292201412, 14.01.2022 წ).

8 .

**მოისმინეს:** მოხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტი - 3 000 ლარი, პროგრამის მიზანია ერთჯერადი კვების ობიექტების ფუნქციონირების შეწყვეტის შედეგად აღრიცხვაზე მყოფი ბენეფიციარებისათვის ფინანსური დახმარება და მათი სოციალური მდგომარეობის შედარებით გაუმჯობესება.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე-28, წინააღმდეგი -0.**

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.292201411, 14.01.2022 წ).

9 .

**მოისმინეს:** მოხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის

ბიუჯეტი - 30 000 ლარი, პროგრამის მიზანს წარმოადგენს ეპილეფსიით ან პარკისონით დაავადებულ ბენეფიციარების ყოველდღიური მოხმარების მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე-28, წინააღმდეგი -0.**

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკისონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.292201410, 14.01.2022 წ).

10

**მოისმინეს:** მოხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტი - 84 000 ლარი, პროგრამის მიზანია დიალიზი სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სამედიცინო დაწესებულებაში გადაადგილების და მედიკამენტებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა, გასულ წელს დახმარების ოდენობა იყო 150 ლარი, წელს - 200 ლარი.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე-28, წინააღმდეგი -0.**

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29220149, 14.01.2022 წ).

11 .

**მოისმინეს:** მოხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტი - 18 000 ლარი, პროგრამის მიზანია უსახლკარო ადამიანების აღრიცხვა და დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა და ასევე იმ ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფა, რომლებმაც გაუთვალისწინებელი გარემოების გამო დაკარგეს საცხოვრებელი და იმყოფებიან თავშესაფრის გარეშე.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე-28, წინააღმდეგი -0.**

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29220148, 14.01.2022 წ).

12 .

**მოისმინეს:** მოხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2022 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი - 390 000 ლარი, აქედან :

ა. საცხოვრებელი სახლები, რომლებიც საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას ხანძრის ან სტიქიის შემთხვევაში ბიუჯეტი განისაზღვრა 30 000 ლარით.

ბ. მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და შეძენის ბიუჯეტი განისაზღვრა 360 000 ლარით. წელს დაგეგმილი 5 საცხოვრებელი სახლია ნაცვლად აშენდება 8 სახლი.

**აზრი გამოთქვეს:** როლანდი მესხმა, კახა ბუცხრიკიძემ მათ მოითხოვეს საკრებულოს ჩართულობა ამ პროგრამით მოსარგებლე კატეგორიის შერჩევაში.

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე-28, წინააღმდეგი -0.**

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2022 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29220147, 14.01.2022 წ).

13 .

**მოისმინეს:** მოხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტი - 30 000 ლარი, პროგრამის მიზანს წარმოადგენს დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა გაუთვალისწინებელი სამედიცინო მომსახურების ხარჯების უზრუნველყოფა და ფენილკეტონურიით დაავადებულთა საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე-28, წინააღმდეგი -0.**

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29220146, 14.01.2022 წ).

14 .

**მოისმინეს:** მოხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების დაფინანსების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტი - 1000 ლარი.

**აზრი გამოთქვეს:** რუსუდან კოვზირიძე - არ განვსაზღვროთ პროგრამით მოსარგებლეთა ასაკი.

დეპუტატებმა მხარი არ დაუჭირეს.

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე-28, წინააღმდეგი -0.**

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების დაფინანსების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29220145, 14.01.2022 წ).

15 .

**მოისმინეს:** მოხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტი - 16 000 ლარი. პროგრამის მიზანია გაუუმჯობესდეს სოციალური მდგომარეობა მარტოხელა მშობელს. 2021 წელს დახმარების თანხა იყო 70 ლარი, წელს - 100 ლარი.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე-28, წინააღმდეგი -0.**

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29220144, 14.01.2022 წ).

16 .

**მოისმინეს:** მოხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - ცვლილება გამოიწვია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შესულმა ცვლილებამ. კერძოდ საკრებულოს თავმჯდომარეს ჰყავს სამი მოადგილე და ფრაქციის თავმჯდომარეს ყოველ სამ კაცზე - ერთი მოადგილე, შესაბამისი ცვლილება შედის საკრებულოს რეგლამენტში .

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე-28, წინააღმდეგი -0.**

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება № 2, 14.01.2022 წ).

17 .

**მოისმინეს:** მოხსენებელმა, „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირები) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 30 იანვრის № 7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი .

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-28, წინააღმდეგი -0.

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირები) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 30 იანვრის № 7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი(დადგენილება №3, 14.01.2022 წ).

18.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი (ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. №109-ში მდებარე მერიის შენობის (ს.კ. 33.09.45.949) მარცხენა ფლიგელის 1 და 2 ოთახის (საერთო ფართი 40.96 მ² ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად , უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, სამი წლის ვადით გადაეცეს სსიპ დანაშაულებრივი პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და ეროვნულ სააგენტოს).

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-28, წინააღმდეგი -0.

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29220143, 14.01.2022 წ).

19.

**მოისმინეს:** მოხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი (ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. №109-ში (ს.კ. 33.09.45.949) მდებარე არასაცხოვრებელი ფართი -32.99 მ² სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით ორი წლის ვადით გადაეცეს ნოტარიუსს ეკატერინე ნიკოლაძეს).

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-28, წინააღმდეგი -0.

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29220142, 14.01.2022 წ).

20.

**მოისმინეს:** მოხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროექტში შესულია 7 ობიექტი.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-28, წინააღმდეგი -0.

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29220141, 14.01.2022 წ).

*სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ზარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.*

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ზარათაშვილი